1 აპრილი

2022 პარასკევი

სიბრძ 2,1.12-22; ფს 33; იო 7,1-2.10.25-30

მე ვიცნობ მას, რადგან მისგან ვარ იო 7,29

იესო ესაუბრება ებრაელებს,
რომლებიც თვლიან, რომ იცნობენ მას.
ის ცდილობს გაანათლოს ისინი
თავისი მოწმობით, ამტკიცებს, რომ
იცნობს მამას, რაკი მისგან მოდის.
ისინი კი, აღშფოთებულ-დაბრკოლებულნი,
ცდილობენ მის დაკავებას.
მოდი სული წმიდაო, შეგვეწიე,
მადლიერებით გავუხსნათ კარი იესოს!

2 აპრილი

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

მოხს.: წმ. ფრანცისკე პაოღელი, მეუდ. + 1507

2022 შაბათი

იერ 11,18-20; ფს 7; იო 7,40-53

არასოდეს კაცს ისე არ ულაპარაკია! იო 7,46

ფარისევლები და უხუცესები, რელიგიის მესვეურები, იესოს შურით გზავნიან მცველებს მის დასაჭერად. ისინი ბრუნდებიან იესოს გარეშე და ამბობენ, რომ აღფრთოვანებული არიან მისი სიტყვებით. საყვედურს დაიმსახურებენ. იესო, შენ გაგვათავისუფლე, რათა შენს სიყვარულს გავუხსნათ კარი. მადლობას გიძღვნით!

3 აპრილი

დიდმარხვის V კვირადღე, «გ», [I], ი

2022 კვირა

ეს 43,16-21; ფს 125; ფილიპ 3,8-14; იო 8,1-11
ამ კვირის განმავლობაში შესაძლებელია აირჩეს
„ა“ წლის დიდმარხვის მე-5 კვირადღის საკითხავები

მეც მოვიღწიე ქრისტე იესომ ფილიპ 3,12

წმიდა პავლე, მას შემდეგ რაც იგი მთლიანად მოიცვა აღმდგარმა იესომ დამასკოს გზაზე შეხვედრით, მზადაა მთლიანად დახარჯოს თავისი სიცოცხლე მისთვის. სურს, მიატოვოს ყველაფერი და თვლის, რომ მთელი მისი აღზრდა-განათლება, რომელიც მიუღია მრავალი წლის ძალისხმევისა და ბეჯითი შრომის შედეგად, უსარგებლოა. არაფერი შეედრება მისი უფლის სიყვარულსა და სინათლეს.
გმადლობ, იესო, რომ ჩემშიც ჩადე შენთვის სიცოცხლისა და სიკვდილის სურვილი.

4 აპრილი

დიდმარხვის V კვირა [V], ი

წმ. ისიდორე, ეპ. და ეკდ. მოძ. +636

2022 ოთხშაბათი

დან 13,1-9.15-17.19-30.33-62; ფს 22; იო 8,12-20

მე ჩემს თავზე ვმოწმობ იო 8,18

იესომ იცის, რომ ის ღვთისგან მოვიდა. მამამ თავად დაამოწმა მასზე მდინარე იორდანეში ნათლობისას. სწორედ ამიტომ ესაუბრება ის სიმტკიცითა და სიყვარულით თავის მოწინააღმდეგეებს, რათა დაეხმაროს მათ იწამონ მისი სიტყვა.

გმადლობ, იესო, შენი სიყვარულისთვის. შენ შემეწევი, რომ მტკიცედ ჩავდგე შენს სამსახურში.

5 აპრილი

დიდმარხვის V კვირა [V], ი

წმ. ბიკენტი ფეხეხი, ხუცესი, +1419

2022 სამშაბათი

რიცხ 21,4-9; ფს 101; იო 8,21-30

ვინც მე მომავლინა, ჩემთანაა იო 8,29

იესომ იცის, რომ ის თავისმა ზეციერმა მამამ მოავლინა. თორმეტი წლისასაც ესმოდა ეს, როდესაც მარიამსა და იოსებს მიუგო: "არ იცოდით, რომ ჩემი მამის ხელთ უნდა ვიყო?". ნამდვილად, იგი ერთგული იყო მთელი წმიდა წერილისა, განსაკუთრებით იმისა, რაც მის ვნებასა და სიკვდილს შეეხებოდა. აქ აჩვენა მან სისავსით, რაგვარ ერთობაში იყო მამასთან, სიყვარულთან რომელიც ბოლომდე გასცემს საკუთარ თავს.

6 აპრილი

დიდმარხვის V კვირა [V], ი

2022 ოთხშაბათი

დან 3,14-20.46-50.91-92.95; ფს: დან 3,52-56; იო 8,31-42

შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ იო 8,32

შენდამი და შენი სიტყვისადმი სრული მონდობით, იესო, ვთავისუფლდებით ყოველგვარი განპირობებისაგან. შენ თავად გვარწმუნებ ამაში. შენა ხარ ჭეშმარიტება, რადგან გვიჩვენებ ფარულ ღმერთს. როცა გავიცნობთ მას, მაშინ წუთისოფლის სიცრუე და სიყალბე ვეღარ გადაგვეღობება წინ – თავისუფალნი ვიქნებით, შევიყვაროთ!

7 აპრილი

დიდმარხვის V კვირა [V], ი

წმ. ჟან ბატისტ დე ლა სალ, ხუც. +1719, (მ)

2022 ხუთშაბათი

დაბ 17,3-9; ფს 104; იო 8,51-59

სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ იო 8,58

იესო ესაუბრება ებრაელ წინამძღოლებს, რომ-ლებსაც არ სურთ მისი მიღება, ვერ ამოუცნიათ მასში ღვთისგან მოვლენილი ძე, აღთქმული მესია. იესო ცდილობს მათ დახმარებას, მაგრამ მათ გული გადარაზული აქვთ. ის ამტკიცებს, რომ ღმერთშია, აბრაამამდე არსებობდა: ამის გამო სურთ მისი ჩაქოლვა.

იესო, შეგვიწყალე, მოგვეც შენი მიღების უნარი!

პარასკევი

იერ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

ჩემშია მამა და მე მამაში ვარ იო 10,38

იესო ესაუბრება ხალხის უხუცესებს, რომლებმაც ჰკითხეს, იყო თუ არა ის მესია. მიუთითებს მათ, რომ ის საქმეები, რასაც იგი ასრულებს, მოწმობენ მასზე. მან განკურნა ბრმად შობილი, გაამრავლა პური, იზრუნა ხალხზე, როგორც „ცხვრების მწყემსმა“.
გმადლობთ, იესო, რომ გვწამს, რომ მამისგანა ხარ მოვლენილი, მისი გული ხარ და სიტყვა.

9 აპრილი

2022 შაბათი

ეზეკ 37,21-28; ფს: იერ 31,10-13; იო 11,45-56

ძმა დემეტრე თბილელის გახსენება (+1321)

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე

ვიქნები მათთვის ღმერთად და ისინი ერად იქნებიან ჩემთვის ეზეკ 37,27

სამოცდაათი წლის განმავლობაში ისრაელის ერი ბაბილონში აბუჩად აგდებული და ექსპლუ-ატირებული ცხოვრობდა. ცოტანი რჩებოდნენ ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისმცემლები და მისი წესების მიმდევარნი. წინასწარმეტყველე-ბი აღავლენდნენ მთელი ხალხის ძახილს და ღმერთმაც შეისმინა მათი: ის დააბრუნებს მათ თავიანთ ქვეყანაში.
გმადლობთ, იესო, რომ მზადა ხარ შეისმინო ტანჯულთა სასოება, რომლებიც კვლავ ღმერთად გაღიარებენ.

10 აპრილი

ბზობის კვირადღე, «გ», [II], ნ

2022 კვირა

ლკ 19,28-40; ეს 50,4-7; ფს 21; ფილიპ 2,6-11; პასიო: ლკ 22,14 - 23,56

მამაო! თუ გსურს,
ამაცილე ეს სასმისი ლკ 22,42

გმადლობთ, იესო, მამის ნებისადმი სრული მზაობისათვის. ადამიანის ორპირობა ესაა: ჯერ აღტაცებით მიეგებნენ მას, შემდეგ კი ჯვარს აცვეს. შენ კი, იესო, ყოველივეს ითმენ სიყვარულით, ჩვენს სახსნელად, უსამართლო მსჯავრისა და ენითუთქმელი ტანჯვის დათმენით. მადლობას გიძღვნით, რადგან ჯვრიდან გვიზიდავ შენკენ.

11 აპრილი

დიდი ორშაბათი [II], I

წმ. სტანისლავი, ეპ. და წამ., +1079

2022 ორშაბათი

ეს 42,1-7; ფს 26; იო 12,1-11

დავდე მე მასზე ჩემი სული ეს 42,1

წმიდა კვირა გვიდგას. ვუმზერთ იესოს, თვინიერსა და თავმდაბალს, სულიწმიდით – მოთმინებით, სიყვარულით, ძალითა და ერთგულებით სავსეს. ის მოვიდა ზეციდან, მამისაგან, რათა ჩვენც დავემსგავსოთ მას. ჩვენ მას მთელ ამ კვირას მივუძღვნით, თავმდაბალ და დიდ მადლობად.

12 აპრილი

დიდი სამშაბათი [II], I

2022 სამშაბათი

ეს 49,1-6; ფს 70; იო 13,21-33.36-38

სადაც მე მივდივარ, თქვენ ვერ შეძლებთ მოსვლას იო 13,33

იესო გულს უშლის თავის მოციქულებს უკანასკნელი სერობის მყუდროებაში, მათთან ერთად რომ შეექცევა. ის თავის თავს მამას მიუძღვნის სისავსით, თვით სიკვდილამდე. ეუბნება მათ, რომ ამჟამად ვერ შეძლებენ მის კვალში სიარულს, მხოლოდ სულიწმიდის მიღების შემდეგ. მადლობა, იესო, შენი თავი რომ გადადე ასევე ჩვენთვის.

13 აპრილი

2022

დიდი ოთხშაბათი, [II], I

წმიდა მირონის კურთხევის წირვა თბილისში, მარიამის აღყვანების საკათედრო ტაძარში

წმ. მარტინ I, პაპი და წამებული, +655

ოთხშაბათი

ეს 50,4-9; ფს 68; მთ 26,14-25

სად გინდა, რომ მოგიმზადოთ
საჭმელად ჴასექი? მთ 26,17

სანამ იუდა იესოს გაცემას გეგმავს, სხვა
მოციქულები ზრუნავენ დღესასწაულის
მოსამზადებლად.
ამ დღეებში ჩვენც გავუმზადებთ იესოს საპატიო
ადგილს ჩვენს გულებსა და სახლებში.

14 აპრილი

დიდი ხუთშაბათი, [ს], თ

2022 ხუთშაბათი

გამ 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15

უფლის სერობის წირვა

თუ არ დაგბან,
ჩემთან არ გექნება წილი იო 13,8

იესო ამ სიტყვებს პეტრეს ეუბნება და მასთან ერთად – მეცა და შენც. თითქოს გვეუბნება: თუ არ მიიღებ ჩემს მსახურებას, ჩემს შენდამი სიყვარულს, ვერც ჩემი ერთგული იქნები და ვერც ჩემს ოჯახში, ეკლესიაში შეძლებ ყოფნას. იესო, გმადლობთ შენი უანგარო სიყვარულისთვის, შენი მღვდლების მეშვეობით გაწეული სამსახურისათვის: შეეწიე მათ შენი სულის ძალით.

15 აპრილი

2022 პარასკევი

ეს 52,13-53,12; ფს 30; ებრ 4,14-16; 5,7-9; იო 18,1-19,42

მძიმე მარხვის დღე. უფლის ჯვარზე სიკვდილის გასახსენებ-
ლად
ამ დღის 15.00სთ-ზე ყველამ, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ,
გამოყოს მდუმრებისა და ლოცვის დრო. შესაწირი წმ. მი-
წისთვის.

მრავალთ გაამართლებს
ჩემი მართალი მსახური ეს 53,11

ეს სიტყვა სიმართლეა. რამდენჯერ გაგვამა-
რთლე, იესო, მამის ერთგულო მსახურო, როცა
შენთან მოვედით, რომ შენდობა გვეთხოვა აღსა-
რებისას და გაგეხსენით შენს მსახურთა წინაშე!
გმადლობ, იესო, ჯვარზე გაღებული მსხვერ-
პლისთვის: ამით შენ დაამარცხე სიკვდილი,
ჩემი გულის სიკვდილიც.

16 აპრილი

2022

დიდი შაბათი [ს]

საპასექო ღამისთევა, დდ, [ს], თ

შაბათი

ღვთის სიტყვა ცოცხალია
და მოქმედი ებრ 4,12

მრავალჯერ დავრწმუნებულვარ ამ სიტყვების სიმართლეში. იესოს სიტყვამ მომცა სიცოცხლე, ამარიდა ცუდ ქმედებები, მომცა ძალა, გამეკეთებინა სიკეთე და განმაცდევინა სიხარული. გმადლობ, იესო, რომ შემიძლია მოგისმინო, რადგან შენ ხარ ნამდვილი სიცოცხლე, ღრმა მშვიდობით აღსავსე.

17 აპრილი

პასექი უფლის ბრწყინვალე აღდგომისა, «გ», დდ, [ს], თ

2022 კვირა

საქმ 10,34.37-43; ფს 117; კოლ 3,1-4 ან, 1კორ 5,6-8; იო 20,1-9 ან, ლკ24,13-35

დარჩი ჩვენთან, ვინაიდან
დღე უკვე მიიწურა ლკ 24,29

ემაუსის ორ მოწაფეს სურს მათთან დარჩეს მათი თანამგზავრი. ის იღებს მოწვევას. სუფრაზე მისი ჟესტებით ხვდებიან, რომ ის იესოა, იგი აღმდგარა! სიხარულით აღვსილნი მიდიან სხვა გულდამძიმებული მოწაფეებისთვის სასიხარულო ამბის მისატანად.
ყოველ კვირას იესო გვევლინება და გვავსებს თავისი სიხარულით! ალილუია!

18 აპრილი

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2022 ორშაბათი

საქმ 2,14.22-33; ფს 15; მთ 28,8-15

იესო შეხვდა მათ მთ 28,8

ქალები დაჰყვებიან ანგელოზს:
ისინი მიდიან იესოს მოწაფეებთან,
რათა აუწყონ მისი აღდგომა და
ისიც ეცხადება მათ აღმდგარი.
როცა სიყვარულით და სიხარულით
ვემორჩილებით მის მაცნეებს,
იესოც გვევლინება.
მართლაც, ნათქვამი აქვს:
"ვისაც ვუყვარვარ,
გამოვუცხადებ ჩემს თავს".

19 აპრილი

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2022 სამშაბათი

საქმ 2,36-41; ფს 32; იო 20,11-18

ნუ დამაკავებ

იო 20,17

მარიამ მაგდალელი მიდის საფლავზე ნელსა-
ცხებლებით, რათა დაასრულოს იესოს ცხედრის
გაპატიოსნება. მაგრამ იქ არ დახვდება გვამი.
ეკითხება იმას, ვინც მებაღე ჰგონია და მისგან
ისმენს საკუთარ სახელს. ის ამ ხმაში ამოიცნობს
თავის ღმერთს და უფალს და ფეხებზე ჩაეკონე-
ბა მას. ის კი ეუბნება, რომ არ შეაჩეროს: ის არ
ეჩვენა მას მისი სიხარულისთვის, არამედ, რათა
მიანდოს მას ახალი მისია.

20 აპრილი

ოთხშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2022 ოთხშაბათი

საქმ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

ჭეშმარიტად აღდგა უფალი ლკ 24,34

მათ, ვინც იხილეს იესოს ჯვარზე სიკვდილი
და დასაფლავება, შემდეგ კი მას ცოცხლად
შეხვდნენ, ჯვარცმის ჭრილობებით, ამგვარად
დაამოწმეს.
მისი რწმენით ჩვენც დარწმუნებით ვამბობთ,
რომ ის მარადიულად ცოცხალია: მართლაც,
ჩვენ განვიცდით მის ახალ სიცოცხლეს ჩვენი
ძმების სიყვარულით.

21 აპრილი

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2022 ხუთშაბათი

საქმ 3,11-26; ფს 8; ლკ 24,35-48

რატომ გებადებათ გულში ეჭვები? ლკ 24,38

აღმდგარი იესოს წინაშე მოწაფეები ჯერ კიდევ ყოყმანობენ. მორწმუნეთა გულებშიც კვლავაც იჩენს თავს ეჭვები მანამ, სანამ არ გაუსწორებენ თვალს ჯვარს მისთვის. ვინც მის ჯვარცმულ სიყვარულს გაიზიარებს, აღარ დაეჭვდება.

22 აპრილი

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2022 პარასკევი

საქმ 4,1-12; ფს 117; იო 21,1-14

წითელი პარასკევი მართლმადიდებელ ეკლესიაში

იესო ნაპირზე იდგა

იო 21,4

იესო ასრულებს მოწაფეთათვის მიცემულ სიტყვას: სიკვდილისა და აღდგომის შემდეგ უნდა ეხილათ იგი. იგი წარუდგება მათ, მისი სიკვდილით გულდამძიმებულთ, თავისი აღმდგარი სხეულით და საცნაური ხდება თავისი სიყვარულით, მისი სიტყვის მორჩილების წყალობით. ეს მორჩილება არის რწმენა, რომელიც აღწევს სასწაულებრივ თევზაობას!

23 აპრილი

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2022 შაბათი

საქმ 4,13-21; ფს 117; მარ 16,9-15

მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+1943)
დიდი შაბათი მართლმადიდებელ ეკლესიაში

მოედეთ მთელს სოფელს და თქვადა-
გეთ სახარება ყოველ ქმნილებას მარ 16,15

გმადლობთ, იესო: შენ ენდობი შენს მოწაფეებს, მიუხედავად მათი არასრულყოფილებისა; შენ წარგზავნე ისინი შენი სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის ნაყოფთა ყველასთან მისატანად, რითაც ახლა ჩვენც ვტკბებით შენს ეკლესიაში. წმიდა გიორგი, გმადლობთ, რომ შეგვეწევი იესოს სიყვარულში!

24 აპრილი

პასექის II კვირადღე, (ღმრთაებრივი გულმოწყალებისა) «გ», [ს], თ

2022 კვირა

საქმ 5,12-16; ფს 117; გამოცხ 1,9-11.12-13.17-19; იო 20,19-31

ივლიტის კათოლიკური ეკლესიის დღეობა
აღდგომა მართლმადიდებელ ეკლესიაში

მოიტა აქ შენი თითი იო 20,27

მკვდრეთით აღმდგარი იესო უკვე ეჩვენა მოციქულებს შაბათის შემდგომი დღის საღამოს. მაგრამ თომა იქ არ იყო და არ ინდომა ძმების სიტყვის დაჯერება. იესო, თავისი დიდი მოწყალებით, რვა დღის შემდეგ, რითაც დაიწყო კვირის ახალი ციკლი, "დადგა" მათ შორის და თავისი განგმირული გვერდი მიუშვირა მათ. გმადლობთ, იესო, შენი მოთმინებისათვის. ჩვენც გვინდა გითხრათ თომასთან ერთად: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“.

25 აპრილი

წმ. მარკოზ მახარებელი, დ, [ს], წ

2022 ოთხშაბათი

1პეტ 5,5-14; ფს 88; მარ 16,15-20

მიცვალებულთა დღე მართლმადიდებლურ ეკლესიაში

ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება მარ 16,16

მადლობას ვუძღვნი იესოს იმისთვის, რომ თავისი სიყვარულის სასიხარულო ამბავი ჩემამდეც მოაწვდინა: ვმადლობ მას, რომ შევძელი მიმეღო და მეჭვრიტა მისთვის სახარებებში და რომ შთაფლული ვიქენ მასში ნათლისღებით სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. წმიდაო მარკოზ, შენც გვეხმარები იესოს სიყვარულის შეცნობასა და გათავისებაში. მადლობას გიძღვნით.

26 აპრილი

2022

პასექის II კვირა [II], თ

სამშაბათი

საქმ 4,32-37; ფს 92; იო 3,7-15

ქარი ქრის, სადაც მოისურვებს იო 3,8

იესო ესაუბრება ნიკოდემოსს, რომელიც მას კითხვებს უსვამს. ქარი მოჰყავს მაგალითად: როცა უბერავს, გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად წავა. ასეა ისიც, ვისაც აღძრავს იესოს სული: მისი რეაქციების წინასწ გათვლა შეუძლებელია; გაარტყავ ლოყაზე? ის როდი დაგიბრუნებს, არამედ მეორე ლოყით გაგიღიმებს!

27 აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

2022 ოთხშაბათი

საქმ 5,17-26; ფს 33; იო 3,16-21

ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის,
სძულს ნათელი იო 3,20

როდესაც არ ვიქცევი იესოს ნებისამებრ, თუნდაც
წვრილმანებში, დამალვის სურვილი მიჩნდება,
რათა არავინ შემისწოროს.
იესო, დამეხმარე, ვაღიარო ჩემი სისუსტეები და-
მალვის გარეშე და მივიღო შენი შენიშვნები და
შენდობა. გმადლობთ.

28 აპრილი

2022 ხუთშაბათი

პასექის II კვირა [II], თ

წმ. ღუი მახი გჩინიონ დე მონფორტი, ხუც. +1716;/წმ. პეტრე შანეღი, ხუც. და წამ. +1841;/წმ. ჯანა ბეჩეტა მოღა +1962

საქმ 5,27-33; ფს 33; იო 3,31-36

ვისაც მე სწამს, სათუკუნო სიცოცხლე აქვს

იო 3,36

ძის რწმენა არ არის მხოლოდ გონების საკითხი, არამედ ის ან უკვე არის, ან ხდება ხელშესახები, კონკრეტული მორჩილება, ის მორჩილება, რომელიც გვაქცევს მამის შვილებად, მისი სიბრძნის გამჟღავნებლებად. ვინც იწონებს აბორტს, ვინც ურჩევს ახალგაზრდებს თანაცხოვრებას, ვინც მიდის წირვაზე მხოლოდ მაშინ, როცა ამის სურვილი აქვს, ის არ ცხოვრობს და არ ამჟღავნებს ძეში მყოფი მამის „მარადიულ“ სიცოცხლეს.

29 აპრილი

2022

წმ. ეკატერინე სიენელი, ქალწ. და ეკლ.
მოძღვ., ევროპის მფარველი, +1380, დ, თ

პარასკევი

1იო 1,5 - 2,2; ფს 102; მთ 11,25-30

ყოველივე ჩემი მამის მიერ
გადმომეცა მე მთ 11,27

იესო ხვდება, რომ ცოტამ თუ მიიღო იგი, მიუხედავად მრავალი სასწაულისა. ის ფხიზლად მოელის, როდის გაუმხელს მამა ხალხს მის ვინაობას – თავის ძეს, ქვეყნად მოსულ ღმერთს. მართლაც, მას მიეცა მამის მთელი სიყვარული, ძალაუფლება, მიანიჭოს საუკუნო სიცოცხლე მათ, ვინც მას კარს უხსნის. წმიდაო ეკატერინე, იშუამდგომლე ჩვენი ევროპისთვის, რათა მასში ნათლად გაცხადდეს იესოს სამეფო!

30

აპრილი

პასექის II კვირა [II], თ

(17.IV) წმ. ეფრემ დიდი მაწყვეტელი, IXს;
წმ. პიუს V, პაპი, +1572

2022

შაბათი

საქმ 6,1-7; ფს 32; იო 6,16-21

ძლიერმა ქარმა დაუბერა
და ზღვა აღელდა იო 6,18

იმ ღამეს იესოს მოწაფეების მსგავსად, დღეს ჩვენც ვართ მრავალი წინააღმდეგობის ძლიერი ქარისგან აბობოქრებულ მსოფლიოში. ჩვენ ვგრძნობთ ჩვენს უძლურებას და საჭიროებას, ვინმემ გვიხსნას. მხოლოდ იესოში ვიპოვით საიმედო ღუზას: ღმერთმა, მისმა მამამ, მხსნელად მოგვივლინა ის. მოდი, უფალო იესო!